

საბრძოლო მოხსენება SALUTE

დაზვერვის დროს მოხსენების ჩაბარების მოხერხებული საშუალებაა ე.წ. SALUTE (size, activity, location, unit, time, equipment), რომელიც აშშ-ს არმიის საველე წესდება FM 21-75 -ში, „საბრძოლო დაზვერვის და კონტრდაზვერვის“ მეექვსე თავშია მოყვანილი. რაზმის მეთაურებს სჭირდებათ მოწინააღმდეგეზე დაკვირვებით მოპოვებული ოპერატიული ინფორმაცია, რის საფუძველზეც სწრაფად დაგეგმავენ მოქმედებას, სწორედ ამ მიზნით გადაიკვმა SALUTE. თქვენი და თქვენი თანამებრძოლების სიცოცხლე შეიძლება დამოკიდებული გახდეს იმაზე, თუ რას ხედავთ და გესმით.

არსებობს ინფორმაციის მოპოვების რამდენიმე წყარო, ერთერთია „მოწინააღმდეგის აქტიურობაზე“ დაკვირვება, ანუ კონკრეტულად რას აკეთებს და რით არის დაკავებული. მეთაურს უნდა მოხსენდეს ყველაფერი რასაც ხედავთ, რადგან ზოგი მოქმედება შეიძლება თქვენთვის არ იყოს მნიშვნელოვანი, მაგრამ მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს მეთაურისთვის. ინფორმაცია უნდა მოხსენდეს სწრაფად, დეტალურად და ზუსტად.

რაციით მოხსენების დრო არ უნდა აღემატებოდეს მტრის აქტიურობიდან 5 წუთს! მოხსენების შედგენის დროს შეგიძლიათ გააკეთოთ ჩანაწერი. სიტუაციიდან გამომდინარე მოხსენება შეიძლება იყოს წერილობითიც.

რა ინფორმაცია უნდა გადავცეთ მოხსენების დროს:

1. **რაოდენობა (Size)** - მოახსენე ჯარისკაცების და მანქანების/ჯავშანტექნიკის რაოდენობა.

მაგ.: „მტრის 7 ჯარისკაცი“ და არა „მტრის ათეული“. სწორია: „მტრის 3 ტანკი“ და არა „მტრის სატანკო ათეული“.

2. **აქტიურობა (Activity)** - მოახსენე კონკრეტულად რას აკეთებს მოწინააღმდეგე.

მაგ.: „დაიწყეს მიწის თხრა ხიდიდან 20 მეტრით მარჯვნივ“; „დაიწყეს სატვირთოს დაცლა“

3. **მდებარეობა (Location)** - მოახსენე სად შეამჩნიე მოწინააღმდეგე. თუ გაქვს რუკა, გადაეცი კოორდინატები. თუ არ გაქვს, მაშინ გამოიყენე წინასწარ დანიშნული ორიენტირები, ან ადგილობრუების გამოკვეთილი ობიექტები.

მაგ.: „ანაგისკენ მიმავალ გზაზე, ხიდიდან 300 მეტრში“; „ეკლესიიდან ჩრდილოეთით 200 მეტრში გზაჯვარედინზე“.

4. **დანაყოფი (unit)** - მოახსენე მოწინააღმდეგის დანაყოფის შესახებ. თუ ვერ ხვდები რომელი დანაყოფია, მაშინ ყურადღება მიაქციე სიმბოლოებს ტექნიკაზე, ან უნიფორმის გამორჩეულ დეტალებს (მაგ.: ლურჯი ბერეტები, მოსახვევები/ემბლემები ფორმზე). აღკაზმულობა, ან ტექნიკა (მაგ.: საინჟინრო) შეიძლება დაგეხმაროს დანაყოფის დადგენაში.

მაგ.: „ბანდაა, უმეტესობას აცვია სხვადასხვა ფორმა, მარჯვენა მკლავზე ატარებენ თეთრ მოსახვევს“.

5. **დრო (Time)** - მოახსენე მტრის აქტიურობის ზუსტი ადგილობრივი დრო.

მაგ.: „10.05.2015 – 14:34“

6. **აღკაზმულობა (Equipment)** - მოახსენე მტრის ხელთ არსებული აღკაზმულობის (რასაც თან ატარებენ, ან იყენებენ) შესახებ. თუ ვერ ამოიცანით იარაღი, ან ჯავშანტექნიკა, ჩაიხატეთ და მოაყოლეთ მოხსენებას.

მაგ.: „დაჯავშნული ურალები“

მაგ.: „სპეციალური ჩაფხუტები, მაყუჩიანი ავტომატები, ყველას აქვს ერთჯერადი ყუმბარმტყორცნი“

რაციით მოხსენების მაგალითი: „ორბმა შეამჩნია მტრის ორი ტანკი და ერთი ბმპ-2 სოფელ ახალდაბას დასავლეთით ტყის პირას. მოძრაობენ ნელა სოფლის მიმართულებით გრუნტის გზაზე 13:37-ზე. ქვეითები ზიან ჯავშანზე, არ ატარებენ ჩაფხუტებს, აქვთ მხოლოდ ავტომატები“.

წერილობითი მოხსენების მაგალითი:

ვინ: პოსტი N3

ვის: II ბატ. I ას. მეთ.

1) მტრის 5 ქვეითი

2) ტოიოტას ჯიპი

3). ჯიპით გავიდნენ სოფლის სამხრეთ გზიდან ხიდის მიმართულებით

4) ადგილობრივი ბანდა

5) 10.06.2015 – 17:48-ზე

6) კომუფლირებული ფორმა, 1 რაცია, 4 AK და 1 PK